საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3647
14/08/2025

3647-01-2-202508141746

ჰანრი კვესელავას

[redacted]

გაცნობებთ რომ, სსიპ-საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო), თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოითხოვა შპს „აისითისაგან“ (ს/ნ: 406115797) (შემდგომში - მოვაჭრე).

სააგენტოს წერილის პასუხად, მოვაჭრემ 2025 წლის 2 ივნისს წარმოადგინა N01/3313 წერილი რომლის თანახმადაც, შპს „ისკუტერს მობილის“ დიაგნოსტირების შედეგად დადკონდა, რომ ელექტრო სკუტერს სერვისში მოყვანისას უკანა საბურავი ჰქონდა დასაბერი. წნევა იყო 0.0 ბარი, მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული წნევა კი არის 55psi – 3.8 ბარი. უკანა საბურავი არის დაზიანებული, იშვებს. საბურავს აღენიშნება დაშვებულზე გამოყენების კვალი, რაც ითვლება არასწორ ექპლოატაციად და არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურებას.

დანართის სახით გეგზავნებათ მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი წერილი და გთხოვთ, „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, წერილის ჩაბარებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგინოთ კვალიფიციური დასკვნა იმის შესახებ, რომ თქვენ მიერ შეძენილ ნივთს აღენიშნება თავდაპირველი ნაკლი.**

დანართი: 4 გვერდი

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

3105/25
თარიღი: 31/05/2025

საქართველოს კონკურენციისა და
მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
მომხმარებელლტა უფლებების დაცვის დეპარტამენტის
უფროსს - ამათი ამაროვს

ბნ ამათ,

2025 წლის 16 მაისით დათარიღებული # 2/2218 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ შპს „აისითის" პოზიციას ჰანრი კვესელავას 2025 წლის 13 მაისის N01/2919 განცხადებასა და 2025 წლის 15 მაისის N01/2995 დაზუსტებული განცხადებასთან დაკავშირებით.

ვადასტურებთ, რომ 2024 წლის 27 ივნისს მომხმარებელმა ჰანრი კვესელავამ შპს „აისითის" სავაჭრო ობიექტში შეიძინა სკუტერი - Ninebot MAX G2 (სერიული ნომერი: 02GVE2350C1761).

2025 წლის 08 იანვარს წარმოადგინა ნივთი სადიაგნოსტიკოდ მოვაჭრის პარტნიორ სერვის ცენტრში (შპს „შაომი საქართველო, მდებარე: თბილისი პეკინის გამზ# 39, ბრენდული სახელწოდება xService) და მიუთითებდა პრობლემაზე საბურავისა და ელემნტის პრობლემაზე.

ნივთი კვალიფიციური დიაგნოსტირებისთვის გადაეცა ნივთის მომწოდებლის/დისტრიბუტორის სერვის ცენტრს შპს „ისკუტერს მობილს" (ს/ნ 406451352) სადიგნოსტიკოდ 2025 წლის 19 თებერვალს.

შპს „ისკუტერს მობილის" დიგანოსტირების შედეგად დადგინდა, რომ ელექტრო სკუტერს სერვისში მოყვანისას უკანა საბურავი ჰქონდა დასაბერი. წნევა იყო 0.0 ბარი. მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული წნევა არის 55 psi = 3.8 ბარი. სერვის ცენტრმა დასკვნაში მიუთითა, რომ უკანა საბურავი იყო დაზიანებული და იშვებდა. საბურავს აღენიშნებოდა დაშვებულ მდგომარეობაში გამოყენების კვალი, რაც ითვლება არასწორ ექსპლოატაციად.

ასევე, დიაგნოსტგირებისას დაიშალა ძარავი. ძრავის მაგნიტები არის დაზიანებული მექანიკურად, რაც იწვევს ძრავის არანომალურ მუშაობს და ხმას. დაზიანება დაკავშირებულია ელექტრო სკუტერის არასწორ ექსპლოატაციასთან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკუტერი დაკავშირებულია მობილურ აპლიკაციასთან (Segway Mobility), რომელიც მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის საბურავების წნევაზე. დაშვებული საბურავის შესახებ შეტყობინება ასევე აისახება უშუალოდ სკუტერის ეკრანზე, რაც მომხმარებელს აფრთხილებს საბურავის დაბერვის აუცილებლობაზე.

მიუხედავად აღნიშნული გაფრთხილებებისა, სკუტერის ექსპლუატაცია გაგრძელდა დაშვებული საბურავით, რამაც გამოიწვია წინა საბურავზე განთავსებულ ძრავზე გადაჭარბებული ზეწოლა და ძრავის დაზიანებას შეუწყო ხელი.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო
კანცელარია
01/3313 2 ივნისი 2025 წ.
დაბრუნებული
რაოდენობა 433 (ორმოცდა სამი)

საბოლოო ჯამში, მომხარებელს უარი ეთქვა საგარანტიო მომსახურების გაწევაზე, ვინაიდან ნივთლზე გამოვლენილი ნაკლი არ წარმოადგენდა ნივთის თავდაპირველ ნაკლს, არამედ უკავშირდებოდა ექსპლოტაციის წესების დარღვევით მის გამოყენებას.

<u>**თანდართული დოკუმენტაცია:**</u>
დანართი #1 - შპს „ისკუტერს მობილის" დასკვნა;
დანართი #2 - სკუტერის ფოტოები;

შპს აისითის
დირექტორის

ვლადიმერ ძურძუკი

[redacted]

შპს ისკუტერს მობილითი - ტექნიკური დასკვნა

მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 3, კორპუსი 32, ფართი 4
მობილური: 599225499
ელ-ფოსტა: escootersgeorgia@gmail.com

ქვითრის #: 000004

შემოტანის თარიღი: 19.02.2025

გარანტია: არასაგარანტიო

მომხმარებლის სახელი და გვარი	მობილური ტელეფონის ნომერი
შპს შაომი საქართველო - კვესელავა?	

ელექტრო სკუტერის დასახელება	სერიული ნომერი
Ninebot MAX G2	02GVE2350C1761

გაყიდვის თარიღი	მაღაზია
27.06.2024	შაომი საქართველო

პრობლემის აღწერა და ტექნიკიური დასკვნა

მომხმარებლის მოსაზრება: ძრავს აქვს ხმა.
ელექტრო სკუტერს სერვისში მოყვანისას უკანა საბურავი ჰქონდა დასაბერი. წნევა იყო 0.0 ბარი, მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული წნევა არის 55 psi = 3.8 ბარი. უკანა საბურავი არის დაზიანებული, იშვებს. საბურავს აღენიშნება დაშვებულზე ნასიარულების კვალი, რაც ითვლება არასწორ ექსპუატაციად.
დაიშალა ძრავი. ძრავის მაგნიტები არის დაზიანებული (მექანიკურად), რაც იწვევს ძრავის არანორმალურ მუშაობას და ხმას. დაზიანება დაკავშირებულია ელექტრო სკუტერის არასწორ ექსპუატაციასთან.
დასკვნა: ელექტრო სკუტერის ძრავის არასწორ ექსპუატაციასთან დაკავშირებული არასაგარანტიო დაზიანება.

მომხმარებლის ხელმოწერა:

მიმღების ხელმოწერა:

შპს ისკუტერს მობილითი
406451352
ESCOOTERS MOBILITY LLC